

# მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25  
2016 წლის 12 აგვისტო

ქ. მცხეთა

## „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 04/02/2015, 0102600 20.35.153.01.6252), კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

### „მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლები

პროგრამით მოსარგებლები არიან:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (არანაკლებ ექვსი თვისა) საქართველოს მოქალაქეები (შემდგომში - მოსარგებლე):

ა) ეკონომიურად გაჭირვებული პირები;

ბ) მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა და რეპრესირებულ პირთა ოჯახის წევრები;

გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს სოციალური დახმარების სახით.

3. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი (გარდა „გ“ ქვეპუნქტისა) ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მოსარგებლის ან/და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლს, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კომისიის ოქმი დგება სხდომიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და კომისიის დამსწრე ყველა წევრი.“

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



